RONDELI FOUNDATION
GEORGIAN FOUNDATION FOR
STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

უკომპრომისო პაექრობა: რუსეთი, დასავლეთი და უკრაინის ბრძოლა გადარჩენისთვის

დავით გატაშვილი

117

ექსპერტის აზრი

საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ექსპერტის აზრი

დავით გატაშვილი

უკომპრომისო პაექრობა: რუსეთი, დასავლეთი და უკრაინის ბრძოლა გადარჩენისთვის

117

2019

პუბლიკაცია დაიბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შეიძლება არ ასახავდეს საელჩოს თვალსაზრისს.

ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს არანაირი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური, ფორმით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს/ებს და შეიძლება არ ასახავდეს საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის თვალსაზრისს.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი 2019 წელი

ISSN 1512-4835
ISBN 978-9941-8-1003-9

რუსეთსა და უკრაინას შორის მიმდინარე კონფლიქტი ერთ-ერთი გადამწყვეტი პროცესია დღევანდელ საერთაშორისო ურთიერთობებში. 2014 წლის უკრაინის კრიზისმა, საქართველოში 2008 წელს მომხდარ რუსულ აგრესიასთან ერთად, დაადასტურა კრემლის მიდრეკილება საერთაშორისო საზღვრების დარღვევისადმი. თუმცა, კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ბრძოლა უკრაინის ბედისთვის არაა დასრულებული. მეტიც, ის, სავარაუდოდ, ჯერ გადამწყვეტ ფაზაშიც არ შესულა. 2019 წლის იანვრის მდგომარეობით, ეს ბრძოლა არა მხოლოდ გრძელდება, არამედ მომავალში შესაძლო მკვეთრი ესკალაციის ნიშნებსაც შეიცავს. ასეთი ესკალაციის შედეგები, როგორც ევროპული უსაფრთხოებისთვის, ისე უფრო ზოგადად, საერთაშორისო სისტემისთვის, ძალიან სერიოზული იქნებოდა.

უკრაინა არის იმპერიის აღდგენის ამჟამინდელი რუსული მცდელობის ძირითადი ბრძოლის ველი. მოსკოვს არ შეუძლია მიაღწიოს თავის ფართო გეოპოლიტიკურ მიზნებს უკრაინაში დასახული ამოცანების შესრულების გარეშე. ხოლო თუკი ის ამ ამოცანებს გადაჭრის, ეს პუტინის რუსეთს თან გააძლიერებს და თან გაათამამებს, რათა შეასრულოს პროგრამის დანარჩენი ნაწილებიც, იქნება ეს სხვა მეზობლებზეც დომინირება თუ გლობალურ საკითხებში კიდევ უფრო აქტიურად ჩარევა.

ამ ამბიციური მიზნებიდან უკანდახევისა პუტინის რუსეთს არაფერი ეტყობა. ამასთან, უკრაინამ უკვე მოახდინა იმის დემონსტრირება, რომ რუსეთი მას ვერ დაიმორჩილებს, თუ მის სუვერენიტეტს კრიტიკულ ზიანს არ მიაყენებს. ამავე დროს, უკრაინამ ისიც აჩვენა, რომ მას ძალუძს ძლიერი წინააღმდეგობა გაუწიოს ამგვარი ზიანის მიყენების რუსულ მცდელობებს. ულმობლად დაპირისპირებული ეროვნული მიზნებისა და შესაძლებლობების ეს დინამიკა ესკალაციის უზარმაზარ პოტენციალს შეიცავს, ხოლო დონბასში მიმდინარე ომი და უკრაინის ტერიტორიების რუსული ოკუპაცია წარმოადგენს კონკრეტულ სივრცეს, სადაც ასეთი ესკალაცია შეიძლება დაიწყოს ნებისმიერ წუთს – ამ ფრაზის პირდაპირი გაგებით.

სადეზინფორმაციო შეტევის ნიმუში

2018 წლის 25 ნოემბერს მსოფლიომ მიიღო შეხსენება რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის შესახებ, როდესაც რუსეთის ფსბ-ის გემები თავს დაესხნენ უკრაინის სამხედრო ფლოტის სამ ხომალდს, რომლებიც ცდილობდნენ ქერჩის სრუტის გავლას. რუსებმა

უკრაინელებს ცეცხლი გაუხსნეს, შემდეგ კი აბორდაჟით შეიპყრეს მათი გემები, თავად მეზღვაურები კი დაატყვევეს. თავდასხმა საერთაშორისო წყლებში მოხდა.[1]

ამ მოვლენათა მნიშვნელობა გასცდა უშუალოდ ქერჩის სრუტეს, რადგანაც მას მოჰყვა რუსული პროპაგანდის აგრესიული და პოტენციურად ძალიან სახიფათო შეტევა. 2018 წლის მანძილზე რუსეთის სადეზინფორმაციო მანქანა ამუშავებდა აზოვის ზღვის თემას,[2] მაგრამ 25 ნოემბრის ინციდენტის შემდეგ მისმა პროპაგანდამ ახლებური ფორმა და ტემპი შეიძინა. ქვემოთ ნაჩვენებია ამ კამპანიის (შესაძლოა, არასრული) მონახაზი:

- 2018 წლის 26 ნოემბერი – რუსეთის ფედერაციის მუდმივი წარმომადგენელი ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციაში (ეუთო) **ალექსანდრე ლუკაშევიჩი** ეუთოს მუდმივი საბჭოს სპეციალურ სხდომაზე შემდეგს აცხადებს: „გაჩნდა ინფორმაცია, რომ უკრაინის შეიარაღებული ძალები ამზადებენ პროვოკაციას, **ქიმიური იარაღის** გამოყენებითა და უცხოური სპეცსამსახურების ჩართულობით“.[3]
- 30 ნოემბერი – რუსეთის მარიონეტული „დონეცკის სახალხო რესპუბლიკის“ (**დნრ**) წარმომადგენელი აცხადებს, რომ 2018 წლის დეკემბერში უკრაინა გეგმავს მარიუპოლის მიმართულებაზე **შეტევის** დაწყებას.[4]
- 5 დეკემბერი – პრესისთვის გამართული ბრიფინგის დროს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი **მარია ზახაროვა** კიევს ბრალს სდებს „დონბასში მორიგი პროვოკაციის ორგანიზებისა“ და **ქიმიური იარაღის** გამოყენების გეგმებში. ზახაროვა ცდილობს გაზარდოს ამ ბრალდების ოფიციალური ელფერი შემდეგი განცხადებით: „ასეთი ქმედებები შეიძლება გახდეს მშვიდობიან მოსახლეობაში მსხვერპლის მიზეზი და ეწინააღმდეგება არა მხოლოდ მინსკის შეთანხმებებს, არამედ ასევე საერთაშორისო ხელშეკრულებებს მასობრივი განადგურების იარაღის აკრძალვისა და შეზღუდვის შესახებ“.[5]
- 9 დეკემბერი – რუსული მედია აშუქებს **დნრ**-ის განცხადებებს, რომ უკრაინელებმა შესაძლოა გამოიყენონ თავისი უპილოტო საფრენი აპარატები ქალაქ გორლოვკასთან, რათა მოაწყონ პროვოკაცია **ქიმიური იარაღის** გამოყენებით და შემდეგ დააბრალონ ის დნრ-ს, ბრიტანელი და უკრაინელი სამხედრო სპეციალისტების მიერ დამზადებული ყალბი ვიდეოების მეშვეობით.[6]

- 10 დეკემბერი – **დნრ**-ის კიდევ ერთი ბრალდება, რომელსაც ფართოდ აშუქებს რუსული მედია. რუსეთის მარიონეტების წარმომადგენელი აცხადებს, რომ მომდევნო რამდენიმე დღის მანძილზე უკრაინელები აპირებენ მარიუპოლში **ქიმიური** პროვოკაციის მოწყობას, შემდეგ კი აზოვის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე **შეტევაზე** გადასვლას.[7]
- 11 დეკემბერი – **რუსეთის საელჩო აშშ-ში** გამოსცემს პრესრელიზს, რომელშიც აცხადებს: „ჩვენ ვაშინგტონს მოვუწოდებთ არ დახუჭოს თვალი დონბასში კონტაქტის ხაზზე უკრაინული შეიარაღებული ძალებისა და რადიკალური მემარჯვენე ჯგუფების აქტიურ მზადებაზე, რისი შედეგიც შეიძლება **სისხლიანი სცენარი** იყოს“.[8]
- 11 დეკემბერი – უკრაინული მედიის ინფორმაციით, რუსეთის მიერ ოკუპირებული ლუგანსკის მაცხოვრებლები ამბობენ, რომ ადგილობრივი მედია ავრცელებს ხმებს მოსალოდნელი უკრაინული **ქიმიური შეტევის** შესახებ.[9]
- 13 დეკემბერი – რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი **მარია ზახაროვა** აცხადებს: „არსებული ინფორმაციის თანახმად, უახლოეს დღეებში კიევი აპირებს კონტაქტის ხაზზე შეიარაღებული პროვოკაციის მოწყობას, რათა... განახორციელოს სწრაფი **შეტევა** მარიუპოლის მიმართულებაზე, დონეცკის კონტროლის ქვეშ არსებული პრიაზოვიეს* ტერიტორიების დასაპყრობად და რუსეთის საზღვარზე გასასვლელად“.[10]
- 13 დეკემბერი – რუსეთის ფედერაციის მუდმივი წარმომადგენელი ეუთოში **ალექსანდრე ლუკაშევიჩი** აცხადებს, რომ „კიევში მზად არიან შემდგომი აგრესიული ნაბიჯებისთვის სამხედრო ისტერიის ასაგორებლად საარჩევნო კამპანიის წინ [2019 წლის 31 მარტს დანიშნული უკრაინული საპრეზიდენტო არჩევნებისთვის]“. ლუკაშევიჩი ასევე ამბობს, რომ „არის იმის საფრთხე, რომ უკრაინა არ შემოიფარგლება ახლანდელი ეტაპით და აპირებს მიიღოს მაქსიმალური დივიდენდები **კონტაქტის ხაზზე ესკალაციის** გზით“.[11]
- 14 დეკემბერი – უკრაინული მედიის ინფორმაციით, რუსეთის მარიონეტები დონბასში ავრცელებენ დეზინფორმაციას, თითქოს უკრაინული შეიარაღებული ძალები ამზადებენ „გორლოვკის დაბომბვას **ქიმიური ბომბებით**“.[12]

---

* პრიაზოვიე – რეგიონი აზოვის ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროს გასწვრივ.

- 17 დეკემბერი – რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი **სერგეი ლავროვი** აცხადებს: „დეკემბრის ბოლო დეკადაში [მესამედში] პოროშენკო გეგმავს **შეიარაღებულ პროვოკაციას** რუსეთის ფედერაციასთან საზღვარზე, ყირიმთან საზღვარზე“.[13]
- 17 დეკემბერი – **დნრ** აცხადებს, რომ 24-25 დეკემბერს უკრაინელები **შეტევის** დაწყებას აპირებენ.[14]
- 20 დეკემბერი – რუსეთის ფედერაციის მუდმივი წარმომადგენელი ეუთოში **ალექსანდრე ლუკაშევიჩი** ეუთოს მუდმივი საბჭოს სხდომაზე აცხადებს, რომ მარიუპოლის და გორლოვკის მახლობლად უკრაინელებს კონცენტრირებული ჰყავთ დიდი ძალები, „რომლებიც ნებისმიერ მომენტში შეიძლება იქნეს გამოყენებული **შეტევითი ოპერაციების** განსახორციელებლად“.

  ლუკაშევიჩი ასევე ამბობს, რომ დონეცკელი „წარმომადგენლების“ ინფორმაციით, „დონბასში მასშტაბური საბრძოლო მოქმედებების განახლების საბაბად შეიძლება იყოს გამოყენებული **დივერსია ერთ-ერთ მსხვილ ინდუსტრიულ საწარმოზე** კონტაქტის ხაზის მახლობლად“.[15]
- 24 დეკემბერი – რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი **მარია ზახაროვა** აცხადებს: „ვერ გამოვრიცხავთ, რომ უახლოეს დღეებში უკრაინის შეიარაღებულმა ძალებმა შეიძლება **სრულმასშტაბიანი საბრძოლო მოქმედებები** დაიწყონ“.

  ზახაროვა ასევე გამოთქვამს ვარაუდს, რომ „კიეველმა სტრატეგებმა ზედმიწევნით შეისწავლეს და მზად არიან პრაქტიკაში გამოიყენონ თავიანთი უცხოელი კურატორების გამოცდილება **მასობრივი განადგურების იარაღის** გამოყენებით პროვოკაციების მოწყობის თვალსაზრისით“.[16]
- 25 დეკემბერი – **დნრ** აცხადებს, რომ უკრაინის კონტროლის ქვეშ არსებულ ტერიტორიაზე ქალაქ დონეცკიდან დასავლეთით ჩასულია მატარებელი „ძლიერმოქმედი **ქიმიური შხამიანი ნივთიერებით**“. ამავე განცხადებაში ნათქვამია, რომ იქვე არიან უკრაინელი სამხედროები და რომ „იმავე რაიონში იმყოფებიან დივერსიების მოწყობის მცოდნე ბრიტანული და ამერიკული სპეცსამსახურების სპეციალისტები“.[17]

როგორც ნაჩვენებია ზემოთ, ქერჩის სრუტის ინციდენტის შემდგომი ერთი თვის მანძილზე რუსეთის ოფიციალური წარმომადგენლები და მათი დონბასელი მარიონეტები თანმიმდევრუ-

ლად და დაჟინებით აჟღერებდნენ ორ გზავნილს: ახლო მომავალში უკრაინა აპირებს ახალი სამხედრო შეტევის დაწყებას და ამ პროცესში რაღაც სახის ქიმიურ ინციდენტს მოაწყობს.

„ქიმიური იარაღის“ სცენარი რუსულმა დეზინფორმაციამ ცოტა ხნის წინ სირიაში აამოქმედა. 2018 წლის 24 ნოემბერს რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ განაცხადა, რომ სირიელმა მეამბოხეებმა გამოიყენეს ქიმიური იარაღი (ქლორინი) ქალაქ ალეპოსთან ახლოს. ამ განცხადებას მოჰყვა რუსული ავიაციის დარტყმები მეამბოხეთა წინააღმდეგ. თუმცა, 7 დეკემბერს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა განაცხადა, რომ რუსეთის და ასადის რეჟიმის ცნობები მეამბოხეთა მიერ ქიმიური იარაღის გამოყენების შესახებ ყალბი იყო და რომ სინამდვილეში რუსებმა და სირიელებმა თავად გაუშვეს ცრემლსადენი გაზი. სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა თქვა, რომ რუსეთმა და სირიამ ეს დეზინფორმაცია გამოიყენეს, როგორც „იდლიბში ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმის შერყევის შესაძლებლობა“.[18]

რუსეთის ხელში ამგვარი შემტევი სადეზინფორმაციო კამპანია შეიძლება ძალიან სახიფათო იყოს, რადგან მას შეიძლება მოჰყვეს უფრო ხელშესახები აგრესიული ქმედებებიც. რუსეთის მოწყობილი პროვოკაცია, ნამდვილი თუ გამოგონილი ქიმიური მასალების გამოყენებით, შეიძლება გახდეს საბაბი რუსეთის შეიარაღებული ძალების პირდაპირი და, ამჯერად, ოფიციალური შეტევისთვის უკრაინის წინააღმდეგ.

თუ გავითვალისწინებთ კრემლის ჩვევას, გამოიყენოს საინფორმაციო ომი თავისი სამხედრო თუ „ჰიბრიდული“ ოპერაციებისთვის, და ასევე რუსული სამხედრო ძალების ბოლოდროინდელ ზრდას უკრაინის საზღვარზე, არაა გასაკვირი, რომ ამ პროპაგანდისტულმა შეტევამ უკრაინელებში გააჩინა მოლოდინი, რომ რუსეთი შეიძლება ამზადებდეს ახალ სამხედრო შეტევას მათი ქვეყნის წინააღმდეგ. შესაძლოა, მთლად უახლოეს მომავალში ეს მოლოდინი არ გამართლდეს. 2019 წლის იანვრის მდგომარეობით, დონბასში სამხედრო ესკალაცია არ მომხდარა. მაგრამ უკრაინელთა შეშფოთება ადვილი გასაგებია, რადგან მსგავსი რუსული პროპაგანდა წინ უძღოდა რუსეთის თავდასხმებს უკრაინასა და საქართველოზე 2014 და 2008 წლებში.

ფუნდამენტური სტრატეგიული რეალობა, რომელიც გახდა ამ ორი საერთაშორისო აგრესიის მიზეზი, კვლავაც ძალაშია. მოსკოვს არ მიუღწევია უკრაინაში თავისი მიზნებისთვის და, შესაბამისად, რუსულ-უკრაინული კონფლიქტის დინამიკა კვლავ

ფეთქებადსაშიში რჩება. თითქოს ამასთან დაკავშრებით ყოველ-გვარი შესაძლო ეჭვის გასაქარწყლებლად, 2019 წლის 15 იანვარს რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანმა ნიკოლაი პატრუშევმა თქვა, რომ უკრაინის ხელისუფლების ახლანდელი პოლიტიკის გაგრძელებამ „შეიძლება ხელი შეუწყოს უკრაინის მიერ თავისი სახელმწიფოებრიობის დაკარგვას“.[19]

რატომ ესხმის რუსეთი უკრაინას – გეოპოლიტიკური ლოგიკა და ქვეცნობიერი შიში

ცხადია, რომ რუსეთი არ აპირებს უკრაინის „გაშვებას“, თუნდაც ყირიმისა და დონბასის ოკუპირებული ნაწილის გარეშე. რუსეთის ამოცანა, როგორც ზოგადად, ისე კონკრეტულად 2014 წლის დასაწყისში დაწყებული სამხედრო აგრესიის კონტექსტში, არის მთლიანად უკრაინის ისტორიული ბედის განსაზღვრა რუსული იმპერიული პროექტის საჭიროებათა მიხედვით.

თანამედროვე რუსეთის მთავარი სტრატეგიული მიზანია ყოფილ საბჭოთა ქვეყნებზე კონტროლის აღდგენა რაიმე ახალი ფორმით. 2005 წელს გაკეთებული პუტინის განცხადება, რომ „საბჭოთა კავშირის დაშლა იყო საუკუნის უდიდესი გეოპოლიტიკური კატასტროფა“,[20] ამ გეოპოლიტიკური უსიამოვნების რაიმე სახით გამოსწორების გეგმის გამოცხადება აღმოჩნდა. პუტინის მმართველობის დროს რუსეთი თანმიმდევრულად მუშაობს თავის ყოფილ საბჭოთა მეზობლებზე გავლენის გასავრცელებლად. ამ პროცესში ის იყენებს სადაზვერვო, დიპლომატიური, ეკონომიკური, საინფორმაციო და სამხედრო ბერკეტების ფართო არსენალს.

რუსეთის ამ სტრატეგიაში უკრაინას განსაკუთრებული ადგილი უკავია. მისი გეოგრაფიული მდებარეობა რუსეთის ცენტრალური ტერიტორიის გასწვრივ, მისი დემოგრაფიული და ეკონომიკური წონა, მისი მნიშვნელობა შავ ზღვაზე სტრატეგიული კონტროლისთვის – ყველაფერი ეს ხელს უწყობს, რომ უკრაინა იყოს რუსული ექსპანსიონიზმის პრიორიტეტული სამიზნე. ვერავითარი რუსული იმპერიული პროექტი ვერ იქნება ჭეშმარიტად წარმატებული და სრული, თუკი მოსკოვს არ ექნება უკრაინაზე რაიმე ფორმის კონტროლი ან ძლიერ გავლენა მაინც. „ევრაზია“ რუსეთის მეთაურობით ვერ იარსებებს მანამ, სანამ უკრაინა არის რეალურად სუვერენული სახელმწიფო.

ამასთან, მკაფიოდ განცალკევებული უკრაინული ეროვნული იდენტობა და უკრაინული ერი-სახელმწიფო, რომელშიც შედის

ქვეყნის აღმოსავლური და სამხრეთული რუსულენოვანი მხარეები, თავისი არსებობის ფაქტით წარმოადგენს „რუსული სამყაროს“ [Русский мир] კონცეფციის[21] უარყოფას. ეს კონცეფცია კი, ევრაზიანისტულ გეოპოლიტიკურ თეორიებთან ერთად, არის ერთ-ერთი იდეოლოგიური ბერკეტი, რომელსაც პუტინის რუსეთი თავისი სტრატეგიული ამბიციების მხარდასაჭერად და გასამართლებლად იყენებს.

კიდევ ერთი პოტენციური პრობლემა კრემლისთვის არის იმის შანსი, რომ მომავალში უკრაინა შეიძლება წარმატებული იყოს. მართალია, ამჟამად ის იძირება უხარისხო მმართველობაში, კორუფციასა და ოლიგარქიულ გავლენებში (თუმცა, ამ ყველაფრის მიუხედავად, 2014 წლის შემდეგ უკრაინამ შეძლო თავისი სამხედრო პოტენციალის აღდგენა). მაგრამ სანამ უკრაინა რჩება ერთდროულად სუვერენული და დემოკრატიული ქვეყანა, ის ინარჩუნებს შანსს დაამარცხოს, ან შეასუსტოს მაინც, ეს სოციალურ-პოლიტიკური სნეულებები. უკრაინის ზომისა და პოტენციალის გათვალისწინებით, ასეთ შემთხვევაში ის გახდება მიმზიდველი, დინამიკური და ძლიერი ქვეყანა. ასე თუ მოხდა, კრემლის ავტორიტარული რეჟიმი მიიღებს ფრიად უსიამოვნო დემოკრატიულ (და, თანაც, პოსტრევოლუციურ) წარმატებულ მაგალითს, მოსკოვიდან მხოლოდ 450 კილომეტრში. ის, რომ რუსები უკრაინელებს ახლო ეთნიკურ და კულტურულ ნათესავებად მიიჩნევენ, ამ ვითარებას კრემლის ბინადრებისთვის მხოლოდ გააუარესებდა.

შესაძლოა, არსებობს უკრაინული ერი-სახელმწიფოს იდეის მიმართ რუსეთის მტრობის მოტივაციის კიდევ ერთი, უფრო ღრმა, დონე.

როგორც რუსულენოვანი ადამიანი, ინტერნეტის რუსულენოვან სეგმენტს თვალს იმ დროიდან ვადევნებ, როდესაც დავიწყე გლობალური ქსელის გამოყენება. იქ ყოველთვის მიდიოდა ერთი დიდი და უწყვეტი ჩხუბი რუსებსა და უკრაინელებს შორის. 2014 წელს ომის დაწყებამდე, ამ ჩხუბის უმთავრესი საგანი იყო უკრაინული იდენტობა. რუსეთის ბევრი მოქალაქე მრავალი წელია გამოხატავს უკიდურეს სიძულვილს უკრაინელთა პოლიტიკური და კულტურული თვითმყოფადობის იდეის მიმართ. ამგვარ აგრესიას ასევე იღებენ საქართველო, ბალტიის სამი სახელმწიფო და სხვები, მაგრამ რუსეთის ბევრი მოქალაქის ზიზღს უკრაინული ეროვნული პროექტისადმი ვერაფერი შეედრება.

შესაძლოა, ამ ფენომენის ერთ-ერთი მიზეზი უკრაინული და რუსული სახელმწიფოებრიობის საერთო ფესვებშია. ორივე ეს

ქვეყანა თავის ისტორიულ მემკვიდრეობას ითვლის შუა საუკუნეების სახელმწიფოდან სახელად კიევის რუსი,** რომელიც IX-XII საუკუნეებში არსებობდა და რომლის დედაქალაქიც იყო კიევი. ისტორიის რუსული ვერსია, ოფიციალურიც და სახალხოც, რუსული სახელმწიფოს საწყის წერტილს ხედავს არა XV საუკუნეში, როდესაც მოსკოვმა გააერთიანა დღევანდელი რუსეთის ტერიტორიაზე არსებული სამთავროები, არამედ კიევის რუსის პერიოდში. არსებითად, მოსკოვმა მოახდინა კიევის რუსის მემკვიდრეობის მონოპოლიზება საკუთარი ეროვნული მითისთვის. უკრაინელთა წინა მცდელობები, შეექმნათ საკუთარი სახელმწიფო, რუსეთმა გაანადგურა XVIII საუკუნეში და 1920 წელს. ამიტომ წარსულში მათ არ ჰქონიათ შანსი, რომ ამ მითისთვის სერიოზული კონკურენცია გაეწიათ.

1991 წელს უკრაინის დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ვითარება შეიცვალა. თანამედროვე უკრაინა, მისი ძლიერი ეროვნული იდენტობით, განასახიერებს ამ საუკუნოვანი მონოპოლიის დასასრულს. უფრო მეტიც, ის არის კიევის რუსის ალტერნატიული თანამედროვე „ინკარნაცია“, თანაც რუსეთისგან განსხვავებული პოლიტიკური კულტურით. რუსეთი იყო დესპოტური სახელმწიფო თითქმის მთელი თავისი ისტორიის მანძილზე. ასე იყო მოსკოვის დიდი მთავრების და მეფეების დროს, ასე იყო ზედაპირულად გათანამედროვებულ რუსეთის იმპერიაში, ასე იყო საბჭოთა კავშირში და ასე არის დღესაც. გამონაკლისები ამ წესში, მართალია, ყოფილა, მაგრამ ძალიან ხანმოკლე.

უკრაინული პოლიტიკური კულტურა ყოველთვის განსხვავებული იყო. გვიანდელი შუა საუკუნეებიდან, უკრაინულ მიწებს, რომლებიც პოლონურ და ლიტვურ სახელმწიფოებში შედიოდა, ჰქონდა ევროპული ფეოდალიზმის კულტურა და არა მოსკოვის დესპოტური მონარქიისა. უკრაინულ ქალაქებს ჰქონდათ შიდა ავტონომია, ე.წ. მაგდებურგის სამართლის მიხედვით, რუსული ქალაქებისგან განსხვავებით. ადრეული მოდერნის (ე.წ. ახალი ისტორიის) ხანაში უკრაინაში წარმოიშვა კაზაკთა სოციალური კულტურა, რომელსაც ინდივიდუალური თავისუფლების ღირებულებები ახასიათებდა. უკრაინაში კაზაკები იყვნენ არა მხოლოდ პერიფერიული ტერი-

** უკრაინული, რუსული, ბელარუსული, ინგლისური და სხვა ენებისგან განსხვავებით, ქართულად დამკვიდრდა სახელწოდება „კიევის *რუსეთი*“. ეს ტერმინი არაზუსტად მიმაჩნია - სხვა ენებს რომც არ შევეხოთ, რუსულადაც კი *Русь* და *Россия* არის ორი სხვადასხვა და განსხვავებული მნიშვნელობის მქონე სიტყვა. ქართულად „რუსეთი“ გამოიყენება სწორედ სიტყვა Россия-ს აღსანიშნად და ამიტომ მისივე გამოყენება Русь-ის თარგმანად არის დამკვიდრებული უზუსტობა. წინამდებარე სტატიაში ვიყენებ ტერმინს „კიევის რუსი“.

ტორიების მოსახლენი, როგორც ეს რუსეთში იყო, არამედ ცენტ-რალურ პოლიტიკურ როლსაც თამაშობდნენ.

რუსეთისა და უკრაინის სხვადასხვა ისტორიული გზების შედეგები დღემდე განსაზღვრავენ ამ ორი ქვეყნის განსხვავებულ შიდაპოლიტიკურ რეალობას. კრემლის რეჟიმისთვის და რუსული საზოგადოების იმ ნაწილისთვის, რომელიც მხარს უჭერს მათი სახელმწიფოს იმპერიულ და ავტორიტარულ ფორმას, მიუღებ-ელია პოლიტიკური კულტურის ამგვარად განსხვავებული მოდელი იმ ქვეყანაში, რომელსაც აქვს რუსეთთან საერთო ისტორიული და ეთნიკური ძირი და რომელიც მდებარეობს რუსეთის ცენტრალური ნაწილის გვერდით.[22]

პოლიტიკური გავლენიდან დესუვერენიზაციის მცდელობამდე – უკრაინაში რუსეთის ამოცანების ტრანსფორმაცია

რუსეთის ქმედებები უკრაინის მიმართ ტოვებენ ძლიერ შთაბეჭდილებას, რომ კრემლისთვის მისაღებია უკრაინის არსებო-ბის მხოლოდ ორი ფორმა. ან მთელი უკრაინა უნდა იყოს რუსე-თის ძლიერი პოლიტიკური გავლენის ქვეშ, ან ის უნდა დაიშალოს ნაწილებად რომელთაგან ერთზე მოსკოვი მტკიცე კონტროლს გა-ნახორციელებს, ხოლო მეორე იქნება უძლურ, ქაოსურ და ღატაკ მდგომარეობაში, რის შედეგადაც ის ვეღარ შეაფერხებს რუსულ იმპერიულ ამბიციებს. უკრაინის აღმოსავლური და სამხრეთული რეგიონები, რომელთა ოკუპაციას მეორე ვარიანტი გულისხმობს, არის უკრაინის სწორედ ის ნაწილი, რომელსაც აქვს ქვეყნის ინ-დუსტრიული პოტენციალის დიდი წილი და შავ ზღვაზე გასასვ-ლელი.

სანამ რუსეთი წამოიწყებდა უკრაინის ნაწილებად დამსხ-ვრევის პირდაპირ მცდელობას, მან სცადა პირველი ვარიანტის განხორციელება. ის პოლიტიკური კრიზისი, რომელიც დასრულდა ევრომაიდანის რევოლუციით, დაიწყო მას შემდეგ, რაც უკრაინის პრეზიდენტმა ვიქტორ იანუკოვიჩმა ბოლო მომენტში გადაწყვიტა არ მოეწერა ხელი ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებისთვის. ეს შეთანხმება 2013 წლის ნოემბერში უნდა გაფორმებულიყო. ნაცვ-ლად კი, იანუკოვიჩის ხელისუფლებამ გამართა შეხვედრები რუსე-თის ხელმძღვანელობასთან, რასაც მოჰყვა მისი განცხადება, რომ ასოცირების შეთანხმებას ხელი აღარ მოეწერებოდა „ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე“, და რომ სანაცვლოდ ის მოსკოვთან „განაახლებდა დიალოგს“ სავაჭრო და ეკონომიკურ საკითხებზე.[23]

უკრაინის პოლიტიკური კურსის ეს რადიკალური ცვლილება, რომელიც ასოცირების შეთანხმების ხელმოწერამდე ბოლო მომენტში მოხდა, იყო იანუკოვიჩის ხელისუფლებაზე მძლავრი რუსული ზეწოლის[24] შედეგი. ის ფართოდ აღიქვეს მოსკოვის სტრატეგიულ გამარჯვებად. 2013 წლის 21 ნოემბერს შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა კარლ ბილდტმა დაწერა: „უკრაინის მთავრობა მოულოდნელად უხრის ქედს კრემლს. როგორც ჩანს, სასტიკი ზეწოლის პოლიტიკა მუშაობს“.[25]

უკრაინულმა საზოგადოებამ იანუკოვიჩის ხელისუფლების ეს ნაბიჯი სწორედაც კრემლის წინაშე ქედის მოხრად აღიქვა. უკრაინელებმა მასში დაინახეს ქვეყნის სტრატეგიული ორიენტაციის შეცვლა რუსეთისა და მისი გეოპოლიტიკურ პროექტის სასარგებლოდ. ამგვარი ცვლილება აღმოჩნდა შეუძლებელი იმ პირობებში, რომელიც 2013 წლის მდგომარეობით უკრაინულ საზოგადოებაში არსებობდა. ეს საზოგადოება მიჩვეული იყო კორუფციასა და ცუდ მმართველობას იანუკოვიჩის დროს, მაგრამ უკრაინის წაყვანამ რუსული გავლენის სფეროს მიმართულებით შელახა ძალიან ბევრი უკრაინელის ძირითადი პოლიტიკური, კულტურული და ისტორიული იდენტობა. მათ თვალში ეს იყო წითელი ხაზის მიღმა.

უკრაინაში მალევე დაიწყო საპროტესტო აქციები. იანუკოვიჩის ხელისუფლების შეცდომათა მთელი სერიის შემდეგ ეს აქციები გადაიზარდა რევოლუციაში, რომელმაც დაასრულა იანუკოვიჩის მმართველობა. შეტაკებებში პროტესტის ასზე მეტი მონაწილე დაიღუპა.[26] 2014 წლის 20 თებერვალს რეჟიმის წარმომადგენლებმა, საბრძოლო შეიარაღების გამოყენებით, ცეცხლი გაუხსნეს პროტესტის მეტწილად უიარაღო მონაწილეებს, რის შედეგადაც ათეულობით ადამიანი დაიღუპა.[27] 22 თებერვლისთვის იანუკოვიჩმა კიევი დატოვა. შემდეგ კი, კრემლის დახმარებით,[28] რუსეთში გაიქცა.

უკრაინელებს, რომლებიც 2014 წლის 20 თებერვალს არ შეუშინდნენ ტყვიებს, რომლებმაც გადაიტანეს მრავალი ფიზიკური ბრძოლა რეჟიმის წარმომადგენლებთან 2013-2014 წლების ზამთრის განმავლობაში, და რომლებმაც უამრავი ღამე გაატარეს კიევის გაყინულ ქუჩებში, ეს ყველაფერი არ გაუკეთებიათ ქვეყნის ევროპული ინტეგრაციისთვის. მათ ეს გააკეთეს იმისათვის, რაც მათ თვალში იყო ბრძოლა უკრაინის ისტორიული ბედისთვის. რევოლუციამ ნათლად აჩვენა, რომ პოლიტიკურად შეუძლებელია მთელი უკრაინის შეყვანა რუსეთის გავლენის სფეროში.

როგორც კი რუსეთის ხელმძღვანელობისთვის ეს რეალობა ცხადი გახდა, მან წამოიწყო უკრაინის ნაწილებად გახლეჩვის მცდე-

ლობა. იანუკოვიჩის ჩამოგდების მომენტიდანვე[29] მოსკოვმა დაიწყო აგრესია უკრაინის წინააღმდეგ ყირიმში. 2014 წლის 18 მარტს მან ამ ნახევარკუნძულის ანექსია გამოაცხადა. ყირიმის ოპერაციას მოჰყვა რუსეთის მცდელობა მოეწყო „აჯანყებები“ უკრაინის აღმოსავლეთ და სამხრეთ რეგიონებში, რომლებიც ჯამში ქვეყნის დაახლოებით ნახევარს შეადგენდნენ. დონბასის რეგიონის ნაწილობრივი გამონაკლისის გარდა, ეს მცდელობა ჩავარდა, უკრაინული საზოგადოებისა და უსაფრთხოების სახელმწიფო უწყებების წინააღმდეგობის შედეგად. სავარაუდოდ, ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორი იყო კრემლის მიერ უკრაინის ამ ნაწილების მოსახლეობაში არსებული პრორუსული განწყობების ზედმეტად ოპტიმისტური შეფასება.

2014 წლის გაზაფხულზე რუსეთის ამ „ჰიბრიდული“ შეტევის მარცხის შემდეგ მოსკოვს მოუწია დონბასში დაწყებული ომით დაკმაყოფილება, დროებით მაინც. 2019 წლის იანვრის მდგომარეობით, ბოლო დიდი სამხედრო ოპერაცია მოხდა 2015 წლის დასაწყისში (დებალცევოს ბრძოლა),[30] მაგრამ მიუხედავად ე.წ. „მინსკი II“ შეთანხმებისა, ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმი დონბასში არ მოქმედებს. სროლა მიდის ყოველდღე, რასაც შედეგად რეგულარულად მოსდევს დანაკარგი ორივე მხრიდან. ფაქტობრივად, დონბასში ჩვეულებრივი აქტიური ფრონტის ხაზია, მსხვილ ოპერაციებს შორის შედარებით „წყნარი“ პერიოდის დროს.

მზარდი სამხედრო საფრთხე უკრაინისთვის

2014 წელს უკრაინის დაშლის რუსული მცდელობის მარცხით საქმე არ დასრულებულა. ფუნდამენტური სტრატეგიული რეალობა არ შეცვლილა. რუსეთის გეოპოლიტიკური ამბიციები კვლავაც სრულიად შეუთავსებელია უკრაინის ეროვნულ ინტერესებთან და უსაფრთხოებასთან. რუსეთის მმართველი რეჟიმი უბრალოდ ვერ მიაღწევს თავის სტრატეგიულ მიზნებს, თუკი ის უკრაინას რამეს არ მოუხერხებს. შესაბამისად, მოსკოვის ქმედებები უკრაინის წინააღმდეგ გრძელდება.

ამავე მიზეზით, უშედეგოა კონფლიქტის მოლაპარაკებების გზით მოგვარების ევროპის მხარდაჭერილი მცდელობები. უახლოეს მომავალში ეს ვითარება, სავარაუდოდ, ვერ შეიცვლება, რადგან ამჟამინდელ ისტორიულ მომენტში კრემლის რეჟიმისა და უკრაინული სახელმწიფოს ინტერესები ურთიერთგამომრიცხავია.

კრემლი უკრაინის დესტაბილიზაციისთვის ნებისმიერ შესაძლებლობას გამოიყენებს. ამ მხრივ, სახიფათო სუსტი წერტილებია

უკრაინული საზოგადოების უკმაყოფილება ქვეყანაში კვლავაც არსებული კორუფციით, საშინაო პოლიტიკის არასტაბილური მდგომარეობა და ოლიგარქთა გავლენა, თუმცა, ამავე დროს, 2014 წლიდან მიმდინარე რუსული აგრესია უკრაინის პოლიტიკურ სხეულს ღიად პრორუსული პოზიციების წინააღმდეგ ძლიერი ვაქცინით ამარაგებს. ამასთან, უკრაინის უსაფრთხოებისთვის ძალიან სერიოზული გამოწვევაა პირდაპირი სამხედრო საფრთხე. თუ კრემლი ვერაფრით შეძლებს უკრაინაში თავისი მიზნების მიღწევას მხოლოდ სადაზვერვო, პოლიტიკური და ეკონომიკური ბერკეტების გამოყენებით, გარკვეულ მომენტში ის შეიძლება ახალ სამხედრო ოპერაციაზეც წავიდეს.

2016 წლიდან რუსეთმა უკრაინასთან საზღვარზე ახალი მსხვილი სამხედრო შენაერთების შექმნა დაიწყო. იმ ტერიტორიაზე, სადაც ადრე რუსეთს არ ჰყოლია მუდმივად ბაზირებული სამანევრო ნაწილები, ამჟამად უკვე არსებობს სამი ახალი მექანიზებული (როგორც რუსები უწოდებენ, „მოტომსროლელთა“) დივიზია, რომელიც განაწილებულია ორ ახალ არმიას შორის.

ამ ახალ დივიზიებს რუსები არსებული ბრიგადების რეორგანიზებისა და გაფართოების გზით ქმნიან. მე-3 მექანიზებული დივიზია, რომელიც ბაზირებულია ბოგუჩარში (ვორონეჟის ოლქი) და ვალუიკიში (ბელგოროდის ოლქი), შეიქმნა მე-9 და 23-ე მექანიზებული ბრიგადების საფუძველზე. ამ მიზნით, ეს ორი ბრიგადა უკრაინის საზღვარზე ვოლგის რეგიონიდან გადაიყვანეს. მე-9 ბრიგადა იდგა ნიჟნი ნოვგოროდში, ხოლო 23-ე – სამარაში. 150-ე მექანიზებული დივიზია განლაგებულია როსტოვის ოლქის დონბასთან მიმდებარე ნაწილში. ის შეიქმნა 33-ე მექანიზებული სამთო ბრიგადის საფუძველზე, რომელიც იქ დასავლეთ კავკასიიდან გადაიყვანეს. 144-ე მექანიზებული დივიზიის შტაბი მდებარეობს სმოლენსკის ოლქში, ბელარუსის საზღვართან ახლოს, მაგრამ მისი ძირითადი საბრძოლო ნაწილები ბაზირებულია მეზობელ ბრიანსკის ოლქში, უკრაინის საზღვარზე. ეს დივიზია შეიქმნა 28-ე მექანიზებული ბრიგადის საფუძველზე, რომელიც მანამდე ურალის რეგიონის ქალაქ ეკატერინბურგში მდებარეობდა.[31]

2016 წელს შექმნილი ეს დივიზიები კვლავაც იზრდება. მაგალითად, 2018 წლის 1 დეკემბერს რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა გამოაცხადა ახალი მექანიზებული პოლკის შექმნა როსტოვთან ახლოს, 150-ე მექანიზებული დივიზიის შემადგენლობაში.[32] ამასთან, 2018 წლის 29 ოქტომბერს ბრიანსკის ოლქის ქალაქ კლინცის ადგილობრივ გაზეთში გამოქვეყნებულმა ინფორმაციამ

გამოავლინა 254-ე მექანიზებული პოლკის არსებობა.[33] ეს პოლკი დაემატა ორ მექანიზებულ და ერთ სატანკო პოლკს, რომლებიც 2018 წლის დასაწყისის მდგომარეობით უკვე შედიოდა 144-ე მექანიზებული დივიზიის შემადგენლობაში.

ჰიპოთეტურ ახალ რუსულ სამხედრო შეტევაში უკრაინის წინააღმდეგ, სავარაუდოდ, მონაწილეობას მიიღებდნენ რუსეთის მრავალ რეგიონში ბაზირებული სამხედრო ნაწილები. თუმცა, ამის მიუხედავად, უკრაინის საზღვარზე მთელი ახალი დივიზიების შექმნა მნიშვნელოვანი ფაქტია. აღსანიშნავია, რომ რუსული სამხედრო ძალების ამგვარი ზრდა და ტრანსფორმირება ხდება იმ დროს, როცა რუსეთს ფინანსური პრობლემები აქვს.[34] ეს გარემოება მიანიშნებს, რომ კრემლისთვის ეს პროცესი არის პრიორიტეტული. იმ პირობებში, როცა რუსეთის ამბიციური გეოპოლიტიკური მიზნები ჯერაც არ არის მიღწეული, მისი სამხედრო ძალების მიერ უკრაინის ამგვარად სამიზნეში ამოღება სახიფათო ნიშანია.

ჭეშმარიტად რეალისტური მიდგომა რუსულ-უკრაინული კრიზისისადმი

ზოგი დასავლელი ავტორი, რომელიც საკუთარ თავს „რეალისტად“ მიიჩნევს, ფაქტობრივად არ განიხილავს უკრაინას სრულფასოვან მოთამაშედ და თვლის, რომ რუსული აგრესიის პირობებში მის მხარდაჭერას აზრი არა აქვს.[35] ამჟამად დასავლეთი ეხმარება უკრაინას ფინანსურად და, ასევე, მისი სამხედრო ძალების წვრთნასა და აღჭურვაში. განსაკუთრებით დადებით როლს, ამ თვალსაზრისით, თამაშობენ აშშ, დიდი ბრიტანეთი და კანადა. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია უკრაინაში რუსული აგრესიის გამო რუსეთის წინააღმდეგ შემოღებული სანქციები. მაგრამ დასავლეთში არიან ისინიც, ვინც ფაქტობრივად ემხრობა უკრაინის რუსული საფრთხის წინაშე მიტოვებას. ასეთ აზროვნებას, სინამდვილეში, რეალიზმთან არაფერი აქვს საერთო.

უკრაინა გაუწევს რუსეთს წინააღმდეგობას იმის მიუხედავად, დაეხმარება მას დასავლეთი თუ არა. არ ღირს პუტინის სიტყვების დაჯერება, თითქოს უკრაინა არის მხოლოდ ტერიტორია და არა სახელმწიფო.[36] მას ამისი, ალბათ, თავადაც აღარ სჯერა. თუკი ოდესმე სჯეროდა, ეს აღმოჩნდა მისი მხრიდან ზედმეტად ოპტიმისტური შეხედულება, რასაც ფრიად უსიამოვნო შედეგები მოჰყვა 2014 წლის გაზაფხულზე, როდესაც კრემლის მცდელობამ, შეექმნა რუსეთის კონტროლს დაქვემდებარებული „ნოვოროსია“

ხარკოვიდან ოდესამდე, მარცხი განიცადა, დონბასის რეგიონის ერთი ნაწილის გარდა.

ეს რუსული პროექტი ეფუძნებოდა მოლოდინს, რომ აღმოსავლეთ და სამხრეთ უკრაინის მოქალაქეთა საკმარისი წილი უფრო მეტად რუსეთის ერთგული იყო, ვიდრე საკუთარი ქვეყნისა. ეს მოლოდინი ფუნდამენტურად მცდარი გამოდგა. მიუხედავად ბევრი აღმოსავლეთ და სამხრეთ უკრაინელის რუსეთისადმი მართლაც დადებითი განწყობისა, რომელიც მათ ჰქონდათ 2014 წლის დასაწყისში, ამ ადამიანთა უმეტესობა არ იყო უკრაინის სუვერენიტეტის მტერი. მათ არ სურდათ საკუთარი სახელმწიფოს ნაწილებად დაშლა.

რუსეთის მიერ ყირიმის ოკუპაციის პროცესს 2014 წლის თებერვალ-მარტში ბევრი აღმოსავლეთ და სამხრეთ უკრაინელი ჯერ გაოცებისგან ვერ იჯერებდა, ხოლო შემდეგ, როცა რეალობის უარყოფა შეუძლებელი გახდა, მას ბრაზით შეხვდა. როდესაც ყირიმის დაპყრობის შემდეგ მოსკოვმა სცადა „აჯანყებების“ მოწყობა უკრაინის იმ ნაწილებში, რომლებიც გათვალისწინებული ჰქონდა „ნოვოროსიის“ პროექტისთვის, ბევრი ადგილობრივი მაცხოვრებელი გვერდში დაუდგა უკრაინულ სახელმწიფოს ამ მცდელობათა დამარცხების საქმეში. მოსკოვმა შეძლო თავისი ჰიბრიდული შეიარაღებული კონფლიქტის დაწყება მხოლოდ დონბასის (დონეცკის და ლუგანსკის ოლქების) აღმოსავლეთ ნაწილში, სადაც რუსული გავლენა მოსახლეობაში ყველაზე ძლიერი იყო და სადაც რუსული შეიარაღებული ჯგუფები ადვილად კვეთდნენ სახელმწიფო საზღვარს.

დღეს უკრაინას თავისი თანამედროვე ისტორიის მანძილზე ყველაზე ძლიერი ეროვნული იდენტობა აქვს, რომელსაც ეს 40-მილიონიანი მოსახლეობის მქონე ქვეყანა აქტიურად იცავს. უფრო მეტიც, მიმდინარე ომი ამ იდენტობას აძლიერებს. ფრონტის ხაზი დონბასში არის უნიკალური ადგილი, სადაც უკრაინელები ქვეყნის სხვადასხვა ნაწილიდან ერთად ებრძვიან მტერს. მრავალი ადამიანი ისეთი განსხვავებული ადგილებიდან, როგორც კიევი, ლვოვი, ხარკოვისა და ოდესის მსგავსი რუსულენოვანი ქალაქებია, ყოველდღე ესვრის იარაღს საერთო მტერს და ღვრის სისხლს ერთმანეთის გვერდიგვერდ. ამასთან, ფრონტის ხაზზე მყოფ ამ ადამიანებს ჰყავთ ოჯახები, მეგობრები, ნათესავები და სხვანი, ვისთანაც მუდმივად აქვთ კავშირი. ეს მძლავრი გამაერთიანებელი ფაქტორია. უკრაინული ერი-სახელმწიფოს განადგურების მცდელობით პუტინის რუსეთმა ის უფრო სიცოცხლისუნარიანი გახადა.

უკრაინაში ამჟამად არსებული მენტალობისა და საჯარო დისკურსის გათვალისწინებით, არაგონივრულია წარმოდგენა, თითქოს დასავლეთის მხარდაჭერის გარეშე ის შეწყვეტდა რუსეთის აგრესიისათვის წინააღმდეგობის გაწევას. ეს ასე არ არის. უკრაინელები გაუწევენ წინააღმდეგობას რუსეთის ჰიბრიდულ ომსაც და მომავალში შესაძლო უფრო პირდაპირ სამხედრო შეტევებსაც, იმის მიუხედავად, რას გააკეთებს ან არ გააკეთებს დასავლეთი. და მათ ეს შეუძლიათ კიდეც, მით უფრო, რომ 2014 წლის შემდეგ უკრაინამ ძალიან მნიშვნელოვნად გააუმჯობესა თავისი თავდაცვითი შესაძლებლობები.[37] ჰიპოთეტური დასავლური უარი უკრაინის დახმარებაზე დააზიანებდა უკრაინული წინააღმდეგობის ხარისხს, მაგრამ ის მას არ შეაჩერებდა.

ამჟამად რუსეთი არ აპირებს უკრაინის წინააღმდეგ თავისი აგრესიული ქმედებების შეჩერებას, ხოლო უკრაინა არ აპირებს წინააღმდეგობის შეწყვეტას. ამ რეალობისგან გაქცევა შეუძლებელია. თუკი დასავლეთი არ გაუწევდა უკრაინას ადეკვატურ დახმარებას, ეს მხოლოდ გაათამამებდა რუსეთს და, შესაბამისად, გაზრდიდა მისი მხრიდან უკრაინაზე უფრო პირდაპირი და მასშტაბური თავდასხმის შანსებს. უკრაინელთა წინააღმდეგობის გაწევის ნებისა და უნარის გათვალისწინებით, ეს ნიშნავს, რომ რაც უფრო ნაკლებია უკრაინის დახმარება დასავლეთის მხრიდან, მით უფრო დიდია აღმოსავლეთ ევროპაში მასშტაბური საბრძოლო მოქმედებების დაწყების საფრთხე. ასეთი სცენარის არდაშვების საუკეთესო გზა არის რუსეთის შეკავება.

ეს თავისთავად საკმარისი მიზეზია, რომ დასავლეთი უკრაინას აქტიურად დაეხმაროს მოსკოვის გეგმების შესაკავებლად – თუკი მხოლოდ რუსეთის იმპერიული ზრახვების დამარცხება და მისი მეზობლების დამორჩილების არდაშვება ამის საკმარის მოტივაციას ვერ იძლევა.

შენიშვნები

1 „Russia-Ukraine sea clash in 300 words,“ *BBC*, 30 November 2018, www.bbc.com/news/world-europe-46345697 (ნანახია 5 იანვარს, 2019).

2 “Russia’s Long-Term Disinformation Plan For The Azov Sea,” *EU versus Disinformation*, 06 December 2018, www.euvsdisinfo.eu/russias-long-term-disinformation-plan-for-the-azov-sea/ (ნანახია 10 იანვარს, 2019);
ზოგადად ანტიუკრაინულ რუსულ პროპაგანდაზე 2018 წელს იხ.: “Ukraine Under Information Fire,” *EU versus Disinformation*, 07 January 2019, www.euvsdisinfo.eu/ukraine-under-information-fire/ (ნანახია 10 იანვარს, 2019).

3 “Постпред РФ при ОБСЕ сообщил, что Киев готовится использовать химоружие в Донбассе,” *ТАСС*, 26 ноября 2018, www.tass.ru/politika/5837398 (ნანახია 7 იანვარს, 2019).

4 “В ДНР заявили о подготовке Киевом ударной группировки войск для масштабного наступления,” *ТАСС*, 30 ноября 2018, www.tass.ru/mezhdunarodnaya-panorama/5856564 (ნანახია 7 იანვარს, 2019).

5 Григорий Дубов, “МИД заявил об угрозе военных провокаций с химоружием в Донбассе,” *РБК*, 05 декабря 2018, www.rbc.ru/rbcfreenews/5c0786e89a7947759ef3d312?utm_source=tw_rbc (ნანახია 8 იანვარს, 2019).

6 “Разведка ДНР обнаружила ударные БПЛА на позициях украинских сил в Донбассе,” *ТАСС*, 09 декабря 2018, www.tass.ru/mezhdunarodnaya-panorama/5890622 (ნანახია 7 იანვარს, 2019).

7 “В ДНР заявили о подготовке Киевом масштабного наступления в Донбассе,” *РИА Новости*, 10 декабря 2018, www.ria.ru/20181210/1547727419.html (ნანახია 7 იანვარს, 2019).

8 Press release, Embassy of Russia in the USA, Facebook-ის ოფიციალური გვერდი, 11 December 2018, www.facebook.com/RusEmbUSA/photos/a.493759737501088/928266964050361/?type=3&theater (ნანახია 9 იანვარს, 2019).

9 “«Пугают химатакой»: луганчане рассказали о фейках в оккупации,” *LIGA.net*, 11 декабря 2018, www.news.liga.net/society/news/pugayut-himatakoy-luganchane-rasskazali-o-feykah-v-okkupatsii (ნანახია 10 იანვარს, 2019).

10 “Захарова: Киев готовит провокацию в Донбассе на мариупольском направлении,” *ТАСС*, 13 декабря 2018, www.tass.ru/politika/5907320 (ნანახია 7 იანვარს, 2019).

11 “Выступление Постоянного представителя Российской Федерации А.К.Лукашевича на заседании Постоянного совета ОБСЕ 13 декабря 2018 года,” Министерство иностранных дел Российской Федерации, www.mid.ru/web/guest/maps/ua/-/asset_publisher/ktn0ZLTvbbS3/content/id/3441567 (ნანახია 8 იანვარს, 2019).

12 “ИС: Боевики запустили фейки о бомбардировке Горловки «химбомбами»,” *LIGA.net*, 14 декабря 2018, www.news.liga.net/incidents/news/is-boeviki-zapustili-feyki-o-bombardirovke-gorlovki-himbombami (ნანახია 10 იანვარს, 2019).

13 “Лавров: Киев планирует вооруженную провокацию на границе с Крымом в конце года,” *ТАСС*, 17 декабря 2018, www.tass.ru/politika/5920850 (ნანახია 7 იანვარს, 2019).

14 “В ДНР опасаются наступления силовиков в Донбассе,” *РИА Новости*, 17 декабря 2018, www.ria.ru/20181217/1548099332.html (ნანახია 7 იანვარს, 2019).

15 “Выступление Постоянного представителя Российской Федерации А.К.Лукашевича на заседании Постоянного совета ОБСЕ о ситуации на Украине и необходимости выполнения Минских договоренностей, Вена, 20 декабря 2018 года,” Министерство иностранных дел Российской Федерации, www.mid.ru/web/guest/vistupleniya_rukovodstva_mid/-/asset_publisher/MCZ7HQuMdqBY/content/id/3456537 (ნანახია 8 იანვარს, 2019).

16 “Комментарий официального представителя МИД России М.В.Захаровой в связи с готовящимися провокациями со стороны Киева на юго-востоке Украины,” Министерство иностранных дел Российской Федерации, 24 декабря 2018, www.mid.ru/ru/foreign_policy/news/-/asset_publisher/cKNonkJE02Bw/content/id/3462742 (ნანახია 8 იანვარს, 2019).

17 “В ДНР заявили о прибытии под Донецк эшелона ВСУ с токсичным веществом,” *ТАСС*, 25 декабря 2018, www.tass.ru/mezhdunarodnaya-panorama/5950866 (ნანახია 7 იანვარს, 2019).

18 “US Accuses Russia, Syria of Fabricating Story of Chemical Weapons Use,” *VOA News*, 07 December 2018, www.voanews.com/a/us-accuses-russia-syria-of-fabricating-story-of-chemical-weapons-use/4691673.html (ნანახია 11 იანვარს, 2019).

19 ინტერვიუ ნიკოლაი პატრუშევთან, *Российская газета* (რუსეთის მთავრობის გამოცემა), 15 января 2019, www.rg.ru/2019/01/15/patrushev-novoe-oruzhie-obespechit-bezopasnost-rossii-na-desiatiletiia.html (ნანახია 18 იანვარს, 2019).

20 “Putin: Soviet collapse a ‘genuine tragedy’,” *NBC News*, 25 April 2005, www.nbcnews.com/id/7632057/ns/world_news/t/putin-soviet-collapse-genuine-tragedy/#.XDYbg_ZuJMs (ნანახია 11 იანვარს, 2019).

21 „რუსული სამყაროს“ შესახებ, სხვა წყაროებს შორის, იხ.:
Orysia Lutsevych, *Agents of the Russian World: Proxy Groups in the Contested Neighbourhood*, Chatham House, Russia and Eurasia Programme Research Paper, April 2016, მე-7 გვერდიდან, www.chathamhouse.org/sites/default/files/publications/research/2016-04-14-agents-russian-world-lutsevych-embargoed.pdf (ნანახია 11 იანვარს, 2019);
Gabriela Rosa-Hernández, “Assessment of the Future of ‘Russkiy Mir’ in Russia’s Grand Strategy,” *RealClearDefense*, 31 December 2018, www.realcleardefense.com/articles/2018/12/31/assessment_of_the_future_of_russkiy_mir_in_russias_grand_strategy_114070.html (ნანახია 11 იანვარს, 2019).

22 პირველად ეს მოსაზრება გამოვთქვი 2014 წლის ივნისში უკრაინულ მედიაში გამოქვეყნებულ სტატიაში: Давид Баташвили, “Иная Русь,” *LIGA.net*, 04 июня 2014, www.liga.net/politics/opinion/inaya-rus-pochemu-v-kremle-nenavidyat-ukrainskuyu-gosudarstvennost (ნანახია 10 იანვარს, 2019).

23 Ian Traynor and Oksana Grytsenko, “Ukraine suspends talks on EU trade pact as Putin wins tug of war,” *The Guardian*, 21 November 2013, www.theguardian.com/world/2013/nov/21/ukraine-suspends-preparations-eu-trade-pact (ნანახია 11 იანვარს, 2019).

24 მაგალითისთვის იხ.: Shaun Walker, “Ukraine’s EU trade deal will be catastrophic, says Russia,” *The Guardian*, 22 September 2013, www.theguardian.com/world/2013/sep/22/ukraine-european-union-trade-russia (ნანახია 11 იანვარს, 2019).

25 კარლ ბილდტის Twitter-ის გვერდი, 21 ნოემბერი 2013, www.twitter.com/carlbildt/status/403521513342898176 (ნანახია 11 იანვარს, 2019).

26 “Небесна Сотня. Список загиблих Героїв України,” *Радіо свобода*, 25 Лютий [თებერვალი] 2014, www.radiosvoboda.org/a/25276530.html (ნანახია 9 იანვარს, 2019).

27 იხ. კიევში 2014 წლის 20 თებერვალს განვითარებული მოვლენების ვიდეოჩანაწერების ნიმუშები (გაფრთხილება – ჩანაწერები შეიცავს მძიმე კადრებს): www.youtube.com/watch?v=T5TbLFIKwgY; www.youtube.com/watch?v=ulOXNJcwzX0&t (ნანახია 9 იანვარს, 2019);
ასევე იხ.: Mattathias Schwartz, “Who Killed the Kiev Protesters? A 3-D Model Holds the Clues,” *The New York Times Magazine*, 30 May 2018, www.nytimes.com/2018/05/30/magazine/ukraine-protest-video.html (ნანახია 9 იანვარს, 2019).

28 “Putin: Russia helped Yanukovych to flee Ukraine,” *BBC*, 24 October 2014, www.bbc.com/news/world-europe-29761799 (ნანახია 9 იანვარს, 2019).

29 “Putin describes secret operation to seize Crimea,” *Yahoo News*, 09 March 2015, www.news.yahoo.com/putin-describes-secret-operation-seize-crimea-212858356.html (ნანახია 9 იანვარს, 2019).

30 დონბასში მიმდინარე ომის 2014-2015 წლების აქტიური ფაზის ზოგადი მიმოხილვისთვის იხ.: Maksymilian Czuperski, John Herbst, Eliot Higgins, Alina Polyakova and Damon Wilson, *Hiding in Plain Sight: Putin’s War in Ukraine*, The Atlantic Council of the United States, May 2015, www.atlanticcouncil.org/images/publications/Hiding_in_Plain_Sight/HPS_English.pdf (ნანახია 15 იანვარს, 2019).

31 იხ. რუსული სამხედრო ნაწილების ადგილმდებარეობა, უკრაინის საზღვარზე ბოლო პერიოდში შექმნილთა ჩათვლით: დავით ბატაშვილი, *რუსეთის შეიარაღებული ძალები: ინტერაქტიული რუკა*, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი (რონდელის ფონდი), გამოქვეყნდა 2018 წლის 7 აგვისტოს, www.gfsis.org/ge/maps/view/russian-military-forces (ნანახია 14 იანვარს, 2019).

32 Дарья Михалина, “В составе 150-й мотострелковой дивизии под Ростовом сформировали новый полк,” *Телерадиокомпания Вооруженных Сил Российской Федерации «ЗВЕЗДА»*, 02 декабря 2018, www.tvzvezda.ru/news/forces/content/201812021804-73o7.htm (ნანახია 5 იანვარს, 2019).

33 “В Клинцах Брянской области прошел фестиваль Всероссийского комплекса ГТО для участников юнармейского движения,” *Труд*, 29 октября 2018, www.klitnsy-trud.ru/society/2018/10/29/v-klincax-bryanskoj-oblasti-proshel-festival-vserossijskogo-kompleksa-gto-dlya-uchastnikov-yunarmejskogo-dvizheniya/ (ნანახია 26 დეკემბერს, 2018).

34 “Russia, Despite Military Ventures, Cut Defense Spending By Most In Decades,” *RFE/RL*, 02 May 2018, www.rferl.org/a/russia-despite-ventures-syria-ukraine-cut-military-spending-last-year-most-since-1998-economic-collapse-western-sanctions-recession/29203634.html (ნანახია 6 იანვარს, 2019).

35 *„მოდი, უკრაინა რუსეთს შევაჭმევინოთ იმიტომ, რომ რეალისტები უნდა ვიყოთ“* ჟანრის ნანერების მიმოხილვას დასჭირდებოდა ცალკე მსხვილი ნაშრომი, მაგრამ იმის გემოს გასაგებად, რაზეც ვსაუბრობ, იხ.: Daniel DePetris, “It is a mistake to arm Ukraine,” *Defense News*, 12 March 2018, www.defensenews.com/opinion/commentary/2018/03/12/it-is-a-mistake-to-arm-ukraine/ (ნანახია 11 იანვარს, 2019).

ავტორი იყენებს ისეთ არგუმენტებს, როგორც „უკრაინის პოლიტიკური ლოიალობა უკიდურესად მნიშვნელოვანია რუსეთისთვის“ და „პუტინისთვის უბრალოდ წარმოუდგენელია მსხვილი მეზობელი სახელმწიფოს – რომელიც ისტორიულად იყო ძველი რუსეთის იმპერიისა და საბჭოთა კავშირის შემაერთებელი ქსოვილი – მოძრაობა ევროპის სიახლოვეს და მისი მოსკოვისადმი ანტაგონისტური მოქმედება“.

ავტორი რატომლაც არ მიიჩნევს საჭიროდ გაითვალისწინოს რა არის „უკიდურესად მნიშვნელოვანი“ *უკრაინელთათვის* და რა არის „უბრალოდ წარმოუდგენელი“ *მათთვის*. რეალიზმის ნებისმიერ სახეობასთან შეუთავსებელია უარი მხედველობაში მიიღო დაახლოებით 40-მილიონიანი მოსახლეობის (რაც უფრო მეტია, ვიდრე კანადის და ავსტრალიის მოსახლეობა) მქონე ქვეყნის პოლიტიკური ნება და იდენტობა.

36 ეს გზავნილი პოპულარულია რუს იმპერიალისტებში. ვლადიმირ პუტინმა პირდაპირ გამოხატა ის აშშ-ის პრეზიდენტ ჯორჯ ბუშთან საუბარში, 2008 წლის აპრილში ჩატარებულ ნატოს ბუქარესტის სამიტზე: „შენ არ გესმის, ჯორჯ, რომ უკრაინა არ არის სახელმწიფო. რა არის უკრაინა? მისი ტერიტორიების ნაწილი აღმოსავლეთ ევროპაა, მაგრამ უმეტესი ნაწილი ჩვენი ნაჩუქარია“. სხვა წყაროთა შორის, იხ.: Roland Oliphant, “Fifteen years of Vladimir Putin: in quotes,” *The Telegraph*, 07 May 2015, www.telegraph.co.uk/news/worldnews/vladimir-putin/11588182/Fifteen-years-of-Vladimir-Putin-in-quotes.html (ნანახია 14 იანვარს, 2019);

ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრმა (და ყოფილმა მუდმივმა წარმომადგენელმა ნატოში) ლინას ლინკევიჩუსმა გაიხსენა პუტინის შემდეგი ციტატა 2008 წლის ნატო-რუსეთის საბჭოს შეხვედრიდან: „ვისთან თანამშრომლობთ? უკრაინასთან? ეს ქვეყანაც არაა, ეს არის რაღაც ხელოვნური წარმონაქმნი, რაღაც ისტორიული შეცდომა და თქვენც იცით, რომ ეს არაა ნორმალური“. იხ.: “At 2008 NATO-Russia Council, Putin called Ukraine ‘artificial formation’ and ‘mistake in history’ – Linkevicius,” *UNIAN*, 07 December 2018, www.unian.info/politics/10368393-at-2008-nato-russia-council-putin-called-ukraine-artificial-formation-and-mistake-in-history-linkevicius.html (ნანახია 14 იანვარს, 2019).

37 Mykola Bielieskov, “Ukraine’s Military Is Back,” *The National Interest*, 27 February 2018, www.nationalinterest.org/blog/the-buzz/ukraines-military-back-24674 (ნანახია 9 იანვარს, 2019);

Denys Kiryukhin, “The Ukrainian Military: From Degradation to Renewal,” *Foreign Policy Research Institute*, 17 August 2018, www.fpri.org/article/2018/08/the-ukrainian-military-from-degradation-to-renewal/ / (ნანახია 9 იანვარს, 2019).